

# "იმედი მაქვს, საფრანგეთის მხარდაჭერა საქართველოსადმი იქნება კიდევ უფრო აქტიური"

✘ საქართველოს პრეზიდენტი სადღმე ბურაბიშვილი იმედს გამოთქვამს, რომ საფრანგეთის მხარდაჭერა საქართველოსადმი იქნება კიდევ უფრო აქტიური. ამის შესახებ სადღმე ბურაბიშვილმა საფრანგეთის სენატის თავმჯდომარე ჟერარ დარშესთან შეხვედრის წინ განაცხადა.

როგორც სადღმე ბურაბიშვილმა აღნიშნა, საფრანგეთთან მისი ურთიერთობები გამოყენებულ იქნება, რათა საფრანგეთის მხარდაჭერა იყოს კონკრეტული და ეფექტური.

მისი თქმით, რეალურად საფრანგეთი და გერმანია არიან წამყვანი ქვეყნები ევროკავშირში, მათი განწყობა, დახმარება და ხელშეწყობა საქართველოსთვის გადამწყვეტია.

*„წარსულში ბევრი გააკეთა ფრანგურმა სენატმა, დაიწყო თანამშრომლობის პროექტები, მათი კეთილი განწყობა საქართველოს მიმართ იყო და უნდა გაძლიერდეს კიდევ. მადლობას გადავუხდით საქართველოს მოსახლეობის სახელით იმ განუერი დახმარებისთვის, რომელიც დაიწყო 100 წლის წინ, როდესაც საფრანგეთმა მიიღო და ბოლომდე შეინარჩუნა საფრანგეთის ქართული ემიგრაცია და ბოლოს დაგვეხმარა რევოლუციის მამულისა და საგანძურის გადმოცემაში.“*

ასევე 2008 წელს საფრანგეთმა გაგვიწია დახმარება, რომელმაც გააჩერა რუსეთის ჯარები. ამაზე ჩვენ მხოლოდ მადლობა გვეთქმის. დღეს რეალურად საფრანგეთი და გერმანია არიან წამყვანი ქვეყნები ევროკავშირში, მათი განწყობა, დახმარება, ხელშეწყობა არის გადამწყვეტი.

მე დიდი იმედი მაქვს, რომ ის ურთიერთობები და კავშირი, რაც მე მაქვს საფრანგეთთან გამოყენებულ იქნება სწორედ იმისთვის, რომ საფრანგეთის მხარდაჭერა იყოს კიდევ უფრო აქტიური, კონკრეტული და ეფექტური. საფრანგეთის თანადგომა ჩვენ მიმართ ნათელია და

*ჩვენზეა დამოკიდებული, ვუთხრათ და დავაკონკრეტოთ, რა მიმართულებით გვჭირდება დღეს მათი მხარდაჭერა“, – განაცხადა საღომე ზურაბიშვილმა.*

საღომე ზურაბიშვილს დღეს ასევე საფრანგეთის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტში საჯარო რექციას წაიკითხავს. 19 თებერვადს საღომე ზურაბიშვილს საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონს შეხვდება. პრეზიდენტები ხელს მოაწერენ თანამშრომლობის დეკლარაციას.

საქართველოს პრეზიდენტი საფრანგეთიდან გერმანიაში გაემგზავრება, სადაც გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელს ეწვევა.